

აბსტრაქტული სახელების წარმოების თავისებურებანი ებრაულ ენაში

ლალი გულედანი

თანამედროვე ებრაული ენა (ივრითი) თავისებური და სრულიად უნიკალურია. 17 საუკუნის მანძილზე მხოლოდ საკულტო და რელიგიური სტატუსის მქონე ენა ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ მაინც უბრუნდება საკომუნიკაციო მდგომარეობას, აღორძინდება და ვითარდება ისე, რომ მოიცავს ისრაელის საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. ებრაული იმის ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება საუკუნეების მანძილზე „მკვდრად“ მიჩნეული ენა აღორძინებისა და განახლების შემდეგ კვლავ ინარჩუნებდეს ცოცხალი ენისთვის დამახასიათებელ ბუნებრიობას. ამ ენის დიაქრონიული განვითარება და მისი სალაპარაკო ენად ჩამოყალიბების პროცესი რთულია და მრავალმხრივ საინტერესო. თუ ნებისმიერ სხვა ენაში შეიძლება გამოიყოს ისტორიული განვითარების ფენები, რომელთაგან იგი პრაქტიკულად ბოლოს ეყრდნობა, თანამედროვე ებრაული ენა გამორჩეულია იმითაც, რომ არა მხოლოდ შეიცავს წინა პერიოდისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, არამედ განაგრძობს ლექსიკისა და ენობრივი ფორმების სესხებას არსებობის პირველი საფეხურებიდანაც კი. ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის (რომლის 65% ბიბლიური წარმოშობისაა, ხოლო 15% თალმუდის პერიოდის) გამდიდრებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა.

თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ახალი სიტყვების წარმოქმნა უკვე დადგენილი ძირებისა და გრამატიკაში დამკვიდრებული სიტყვათწარმოებითი მოდელების მიხედვით (უცხო ენიდან ნასესხობების შემთხვევაშიც), თუმცა ვხვდებით ენის ლექსიკური მარაგის შევსებას ხელოვნური საშუალებებითაც.

ლექსიკის განახლების მუდმივი პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

ა) წარმოიქმნება ახალი ლექსიკური ერთეულები; ბ) პასიურ მარაგში გადადის ენისთვის არასაჭირო ლექსიკა; გ) იცვლება სიტყვათა მნიშვნელობები; ყოველივე ამის შედეგად ენაში წარმოიქმნება ნეოლოგიზმები და ჩნდება არქაიზმები [კორნიენკო 1979:11].

ებრაულ ენაში ნეოლოგიზმების (კერძოდ, სახელების) დიდი რაოდენობა ზემოხსენებული მორფოლოგიური სიტყვათწარმოების შედეგია. განსაკუთრებული სიმრავლით აბსტრაქტული სახელები გამოირჩევა, ხოლო

კიდევ უფრო თვალშისაცემია თ-ი (უთ) სუფიქსიანი აბსტრაქტული სახე-
ლები. მათ შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ინტერნაციონა-
ლიზმებისაგან წარმომდგარი ლექსემები, რომლებიც, ერთი შეხედვით, მა-
თხე თ-ი სუფიქსის მექანიკური მიერთებით მიიღება. ამის საილუსტრაციოდ
წარმოვადგენთ ბ. პოდოლსკის ლექსიკონიდან მხოლოდ x – ზე ამოკრები-
ლი მასალის ნაწილს:

ინტეგრალურობა	— თილგაშაი;	ინტესივობა	— თიბიშაშაი;
ინტიმურობა	— თიშიაი;	ინტერნაციონალობა	— თილინიანიანი;
ინტელექტუალურობა	— თილანქაშაი;	ელემენტარულობა	— თირიანიანი;
ელასტიურობა	— თიშაი;	ანტიემიტიზმი	— თიშიანიანი;
ემოციურობა	— თილიანიანი;	ენერგიულობა	— თიშანიანი;
ამორფულობა	— თიფანიანი;	სტრატეგიულობა	— თიგანიანი;
ანონიმურობა	— თიშიანიანი;	ასკეტიზმი	— თიშანიანი;
ელასტიურობა	— თიშაი;	ეგოცენტრიულობა	— თირიანიანი;
ემოციურობა	— თილიანიანი;	აგრესიულობა	— თიბიანიანი;
ამორფულობა	— თიფანიანი;	ობიექტურობა	— თიბიანიანი;
ანონიმურობა	— თიშიანიანი;	ავტომატიზმი	— თიშიანიანი;
ანტიემიტიზმი	— თიშიანიანი;	უნივერსალობა	— თილიანიანი;
ენერგიულობა	— თიშანიანი;	კოტიმიზმი	— თიშიანიანი;
სტრატეგიულობა	— თიგანიანი;	ორიგინალობა	— თილიანიანი;
ასკეტიზმი	— თიშანიანი;	არქაულობა	— თიანიანი;
ესთეტიურობა	— თიშანიანი;	ორთოდოქსალობა	— თიანიანი;
აპოლიტიკურობა	— თიშიანიანი;	იდეალურობა	— თიანიანი;
აბსურდულობა	— თიანიანი;	იდლიურობა	— თიანიანი;
აბსტრაქტულობა	— თიანიანი;	იმპოზანტურობა	— თიანიანი;
ეგოისტობა	— თიანიანი;	და სხვა.	

იმის დასადგენად, თუ რატომ არის ებრაულ ენაში უთ – სუფიქსი ასე-
თი პროდუქტიული ნეოლოგიზმების წარმოებისას, ატარებს მისი სიტყვაზე
დართვა ხელოვნურ ხასიათს თუ ენაში მიმდინარე პროცესების კანონზო-
მიერი შედეგია, მიზანშეწონილად მივიჩნით აბსტრაქტული სახელების
ველა მოდელისა და წარმოების თავისებურებების შესწავლა. ლოგიკური
დასკვნისათვის აუცილებლად მიგვაჩნია არა მხოლოდ ებრაული გრამა-
ტიკული მოდელის კვლევა, არამედ მათი მიმართების გარკვევა სხვა
სემიტურ ენებში წარმოდგენილ მასალასთან, რაც საშუალებას მოგვცემს
ზუსტად განისაზღვროს აბსტრაქტული მოდელისა და აფიქსების მორ-
ფოლოგიური და სემანტიკური ფუნქციები თანამედროვე ებრაულში საერ-
თო სემიტური მონაცემების გათვალისწინებით.

ეს პრობლემატიკა საინტერესოდ და აქტუალურადაც გვეჩვენება
ლექსიკოლოგიის საკითხებითა და სიტყვათწარმოებითი პროცესებით დაინ-
ტერესებულ პირთათვის (როგორც ჩვენს შემთხვევაშია) და ასევე, ზოგადად

ებრაული გრამატიკული კატეგორიების სისტემატიზაციის თვალსაზრისით, რამდენადაც ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი თეორიულ ლიტერატურაში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ებრაულ გრამატიკებში აბსტრაქტული სახელები ცალკე გამოყოფილი და კომპლექსურად შესწავლილი არ არის. ზოგიერთი გრამატიკოსი (ზელიგერი, სოლომონიკი) საერთოდ არ ახსენებს აბსტრაქტულ სახელებს, ზოგიერთი კი მწირ ინფორმაციას იძლევა ამ საკითხზე (ბ. პოდოლსკი, ა. აიხენვალდი, ბ. როზენი და სხვანი).

ა. კრიუკოვი და ბ. პოდოლსკი, რომლებიც თანამედროვე სასაუბრო ებრაული ლექსიკის შევსების ძირითად საშუალებებზე მსჯელობენ, მიუთითებენ მორფოლოგიური დერივაციის, კერძოდ აფიქსაციის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვათწარმოებით სუფიქსებზე და მათ შორის $n-1$ – სუფიქსზეც [კრიუკოვი 2004:37]; [პოდოლსკი 1985:130]. კრიუკოვი მიიჩნევს, რომ ხშირად ნასესხები სუბსტანტივებიც იღებენ ამ სუფიქსს [კრიუკოვი 2004:21].

ჩვენი კვლევისთვის ფასეულ ინფორმაციას გვაწვდის გრანდესა და გეზენიუსის გრამატიკები, სადაც წარმოდგენილი და განხილულია აბსტრაქტული სახელების ზოგიერთი მოდელი სხვა კატეგორიის სახელების მოდელებთან ერთად, ხოლო ი. კორნიენკო მიუთითებს თანამედროვე ებრაულ ენაში სახელების ყველაზე მეტად გავრცელებულ 12 სიტყვათმწარმოებელ (როგორც პრეფიქსურ, ასევე სუფიქსურ) მორფემაზე [კორნიენკო 1982:75].

კვლევის დროს ვიყენებთ აღწერით და შედარებით-შეპირისპირებით მეთოდებს სინქრონულ პლანში.

როგორც ცნობილია, ძირი სიტყვის მორფოლოგიურად დაუშლელი ნაწილია. სემიტურ ენებში არსებობს კონკრეტული სიტყვები, კონკრეტული ფუძით, რომელშიც ძირი მორფოლოგიური ანალიზის საშუალებით გამოიყოფა. მრავალსახოვანი გრამატიკული კატეგორიების განხილვისას ძირი ითვლება ძირითად კარკასად, ხოლო სიტყვები მასზე აგებულ გრამატიკულ ფორმებად.

სემიტური ძირი არის ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი მორფემა, ხოლო სიტყვის მწარმოებელი აფიქსები — მორფემები, რომლებიც ძირის მნიშვნელობას განსაკუთრებულ სემანტიკურ ელფერს სძენენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სემიტურ ძირში მნიშვნელობის განსაზღვრა უკავშირდება, ძირითადად, სწორედ თანხმოვან ფონემებს, ხოლო ხმოვნები გამოიყენება ფლექსიური ფუნქციით გრამატიკული მიმართების გადმოსაცემად ან ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვადასხვა ნიუანსების დასაფიქსირებლად“ [მეფარიშვილი 2008:146].

სემიტურ ენებში სიტყვების წარმოქმნის მორფოლოგიურ საშუალებებს წარმოადგენს:

- 1) აფიქსები — პრეფიქსები და სუფიქსები, ზოგჯერ ინფიქსებიც.
- 2) ძირის რომელიმე თანხმოვნის გაორმაგება.

3) სიტყვაში ხმოვანთა შემადგენლობისა და თანმიმდევრობის შეცვლა (შინაგანი ფლექსია).

ამ ფორმალური საშუალებების ერთობლიობა უოველ სიტყვაში ქმნის ფორმულას, რომლის მიხედვითაც აიგება სხვა ძირის ანალოგიური სიტყვა. ასეთი სტრუქტურული „მოდელები“ შეიძლება დაიყოს:

- ა) გრამატიკულად, ე. ი. ისეთად, რომელიც ქმნის ახალ გრამატიკულ მნიშვნელობას და წარმოადგენს მორფოლოგიის საგანს.
- ბ) ლექსიკოგრაფიულად, ე. ი. ისეთად, რომელიც ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც არ შეიძლება განზოგადოებული იქნას გრამატიკაში.

ებრაულ ენაში სახელები ორი ტიპისაა:

- 1) პირველადი (nomina primitiva), რომლებიც არ არიან ნაწარმოები არც ზმნიდან და არც სახელიდან; მაგ: אב, ים, აბსტრაქტული: יין „მადლი“; תן „ძრწოლ“; מן „სიციხე“; רוק „სიცივე“; מוש „მშვიდობა“ და ა. შ.
- 2) ნაწარმოები (derivata), რომლებიც თავის მხრივ იყოფა:
 - ა) ზმნიდან ნაწარმოები სახელები (nomina verbalia) მაგ: תעד „ცოდნა“ ზმნიდან עד; הפד „სამართლიანობა“ ზმნიდან פד და ა. შ.
 - ბ) სახელიდან ნაწარმოები (nomina denominativa), მაგ: יין מדק - „აღმოსავლური“ < מדק „აღმოსავლეთი“, תולדה „მთისძირი“ < לה-ფეხი და ა. შ. [გეზენიუსი 1874:315].

სახელთა უმრავლესობა თავისი ფორმით ნაზმნარ სახელებს (მიმღეობასა და მასდარს) წარმოადგენს. მიმღეობა უმეტესად გადმოსცემს მოქმედებას, ადგენს მოქმედ პირს და გამოიყენება კონკრეტულ ცნებათა აღსანიშნავად. მასდარი გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას ან მოქმედების ადგილს. ამასთანავე ისინი ხშირად აბსტრაქტულ სახელებსაც გამოხატავენ.

ნასახელარი, ანუ დენომინატიური სახელები, გამოხატავენ რიგობით, წილობით რიცხვით და სადაურობის ზედსართავ სახელებს და ისეთ აბსტრაქტულებს, რომელთაც საფუძვლად კონკრეტული სახელები უდევს [წერეთელი 2001:64-65].

ებრაულ ენაში პირველადი სახელები გაცილებით მცირერიცხოვანია, ვიდრე ნაზმნარი და ნასახელარი. თავდაპირველად განვიხილავთ აბსტრაქტული სახელების უაფიქსო მოდელებს.

სამთანხმოდინანი ერთმარცვლიანი სახელები მოკლე ხმოვნით ებრაულში ორმარცვლიან სახელებს გვაძლევს, რამდენადაც ორმაგად დახურულ მარცვალში ბოლო ორ თანხმოვანს შორის ვითარდება მეშველი ხმოვანი. ეს ხმოვანი სეგოლია, რის გამოც ამ ტიპის სახელებს სეგოლატები ეწოდება. ისტორიულად ხსენებულ ნომინალურ ფუძეებში სამი მოკლე ხმოვანი ივარაუდება, რაც დასტურდება, როგორც თვით ებრაულის, ისე მისი მონათესავე ენების მასალით. ასეთი ხმოვნებია: a, i, u. აქედან მიღებულია შემდეგი ტიპის ფუძეები: qaṭl, qiṭl, quṭl. მეშველი ხმოვნის გაჩენის შედეგად ფუძისეული ხმოვნები განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს [წერეთელი 2001:66].

მოცემული ტიპის სიტყვების დიდ უმრავლესობას სწორედ აბსტრაქტული სახელები წარმოადგენს:

qaṭl > qaṭel, სადაც პირველი მარცვლის ხმოვანი ემსგავსება მომდევნოს და ვიღებთ ორმარცვლიან სახელს qeṭel.

მაგ: חמא „სიმართლე“; ზה „ამაობა“; ძი „დინება“; זח „წყალობა“; ზמ „უბედობა, ლაქლაქი“; הג „ეპიდემია“; בצע „მოწყენილობა“; זח „შევიწროება, ჩაგვრა“; צפ „რისხვა“; ძი „მოწყალება“; רש „სიცრუე“ და ა. შ.

qitl > qeṭel > (მახვილიან ღია მარცვალში i > ē).

მაგ: רח „ხსოვნა“; רח „წამება, ტკივილი“; רח „სურვილი“; רח „გამოკვლევა“; רח „ახსნა, განმარტება“ და ა. შ.

qaṭl > qeṭel (მახვილიან ღია მარცვალში u > ē).

მაგ: רח „შეკრება, შეგროვება“; רח „ძალა, სიძლიერე“; רח „სიწმინდე“ და ა. შ.

თუ სახელის ბოლო ძირეული გუტურალია, მეშველ ხმოვანად a გვაქვს.

მაგ: חא „მარადისობა“;

წარმოვადგენთ ამ მოდელების არაბულ ვარიანტებს (მოქმედებისა და აბსტრაქტული სახელები):

qaṭl: madhun „ჭება“; mawtun „გარდაცვალება, სიკვდილი“; sam'un „მოსმენა“;

labsun „ჩაცმა“; taqlun „სიმძიმე“ და ა. შ.

qitl: kisbun „შეძენა“; hizarun „სიფრთხილე“; ilamun „ცოდნა“ და ა. შ.

qaṭl: usrun „სიძნელე“; zuhdun „თავშეკავება, მოთმენა“ და ა. შ. [გრანდე 1963:79].

უაფიქსო მოდელებიდან აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად ხშირად გვხვდება ზუჰ (qaṭāl) და მისი მდებრობითი სქესის ფორმა, თუმცა იგი მეტწილად ზედსართავი სახელის მოდელია. წარმოვადგენთ ამ მოდელის აბსტრაქტულ სახელებს:

חא „დანაშაული“; ზა „შიმშილი“; ზა „სიუხვე“ (ზღვრ: ზედსართავის პარალელური ფორმები חა; ზა; ზა). მდებრობითი: חა „შურისძიება“; חა „სამართლიანობა“ და ა. შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი მოდელებით, გარდა აბსტრაქტული სახელებისა, გამოიხატება კონკრეტული, მოქმედების, მდგომარეობის, ასევე ზედსართავი სახელები და სხვა, მაგრამ აბსტრაქტული სახელების ყველა არსებულ უაფიქსო მოდელს შორის ისინი შედარებით უფრო ხშირად გვხვდება. ქვემოთ დავიმოწმებთ ისეთ ნიმუშებს, რომლითაც პირიქით, სხვა ტიპის სახელები უფრო ხშირადაა წარმოდგენილი და ნაკლებად — აბსტრაქტული.

qaṭl-qeṭl – ძირითადად ზედსართავით არის წარმოდგენილი (חა, חა, חა, חა), თუმცა გვხვდება აბსტრაქტულიც.

მაგ: חა „პატივისცემა“; חა „მშვიდობა“ და ა. შ.

qaṭl-qeṭl — ძირითადად არსებით სახელს აწარმოებს, ხოლო მისი მდებრობითი ხშირად სახელს აბსტრაქტულობას სძენს. მაგ: חა „ხსნა“.

qaṭl — ებრაულში ის გამოიყენება ჩვეულებრივი, მუდმივად განმეორებადი მდგომარეობის ან მოქმედების, აგრეთვე მუდმივი საქმიანობის, ხელო-

ბის გამოსახატავად (اسخ , باا , شخ); ხოლო მდ. სქესის ფორმით qatālah – qatēlet გამოიხატება აბსტრაქტული სახელები.

მაგ: תָּלַד „ანთება“; תָּסַח „ცოდვა“ და ა. შ.

q̄tal, q̄tāl, q̄tīl, q̄tāl — ძირითადად კონკრეტული არსებითი სახელები გამოიხატება, ხოლო მათი მდებრობითის ფორმებით — აბსტრაქტული:

הַשָּׁח „სიბნელე“; הַנֶּאֱמָר „დაკვრა“; הַיָּבֵשׁ „სიძლიერე“ და ა. შ. [გუზენიუსი 1874:317-318].

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა აბსტრაქტული და კონკრეტული ცნებების გამოსახატავად გვხვდება ერთი და იგივე სიტყვა.

მაგ: שָׁמַיָּם „ნაცნობობა“ შეიძლება შეგვხვდეს ნაცნობის მნიშვნელობითაც. וְהָאֱשֵׁרֶת גּוֹלְמֵרֶת גּוֹלְמֵרֶת ნიშნავს და გულუბრყვილობაც. תָּסַח ცოდვასაც და ცოდვილ ქალსაც.

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში გამოიკვეთა იმის ტენდენცია, რომ ერთი და იგივე მოდელი ხშირად მეტყველების სხვადასხვა ნაწილს გამოხატავს. ასევე შესაძლებელია, რომ ერთი ძირის სხვადასხვა მოდელით სემანტიკურად განსხვავებული სიტყვები მივიღოთ [აიხენვალდი 1990:52-54].

წარმოვადგენთ მოქმედების გამომხატველი აბსტრაქტული სახელების შემდეგ მოდელებს არაბულ ენაში:

qatāl: ‘amalun „მოქმედება“; faraḡun „ხსნა“; maradun „ავდმყოფობა“; nazaran „მხერა, მხედველობა“ და ა. შ.

qitāl: kibarun „ხანდაზმულობა“; qidamun „სიძველე“ და ა. შ.

qatīl: ḥalīfun „ფიცი“; ḡalīkun „სიცილი“; La‘ibun „გართობა, ხუმრობა, თამაში“;

-at დაბოლოების დამატებით: ‘amilatun „მოქმედება“; taqimatun „შურისძიება“; sariqatun „ჭურდობა“ და ა. შ.

qatāl: samā‘un „მოსმენა“; ḡarābun „ნგრევა“; raḡa‘un „იმედი“ და ა. შ.

qitāl: nifārun „გაქცევა“; qiyāmun „დგომა“; Libāsun „ტანისამოსი“;

qutāl: ṣurāḡun „უვირილი“; nubāḡun „უფა“ და ა. შ.

qatīl: harīqun „წვა, ხანძარი“; harīrun „უშუილი, ღმუილი“; nahībun „ჭვითინი“;

-at მდ. სქ. -ის დაბოლოებით: baṣīratun „გამჭრიახობა“; ḡafīzatun „რისხვა“;

qatīl: (რედუქციაციით მიღებული) მდ. სქ.-ის დაბოლოებით: baynunatun „განშორება“; ṣayḡūḡatun - „სიბერე“;

qalqal: მდ. სქ.-ის დაბოლოებით: zalzalatun „მიწისძვრა“; qalqalatun „ღელვა“ და ა. შ. [გრანდე 1963:82-89]

ებრაულ და არაბულ ენებში დაფიქსირებული აბსტრაქტული სახელების უაფიქსო მოდელების შეპირისპირება-შედარებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ წარმოების მხრივ არაბული ენა უფრო მრავალფეროვანია, თუმცა მოდელების უმეტესობა ხშირ შემთხვევაში ორივე ენაში ერთმანეთს ემთხვევა, რაც მათი საერთო სემიტიური წარმომავლობით აიხსნება.

რაც შეეხება აბსტრაქტული სახელების აფიქსალურ დერივაციას, გვხვდება როგორც პრეფიქსალური, ისე სუფიქსალური წარმოების სახელები.

ნაზმნარი სახელები ებრაულ ენაში უშუალოდ ზმნური ძირებისაგან წარმოიქმნებიან და ძირითადად მიმღეობას და ინფინიტივს წარმოადგენენ.

მიმღეობის ძირითადი მაწარმოებელია m, რომელსაც ახლავს მოცემული თემის ვოკალური ელემენტი: ma, me, mo, mi.

ma და mi პრეფიქსები აბსტრაქტული სახელების საწარმოებლადაც გამოიყენება, რომელთა ფუძეები სხვადასხვაგვარი გახმოვნებისაა.

მაგ: ma „სიმშვიდე“; ma „სიბნელე“; ma „სინათლე“; ma „ტრადიცია“; ma „ჩვეულება“; ma „შემთხვევა“ და ა. შ.

არაბულში აბსტრაქტული სახელები ყველაზე ხშირად წარმოდგენილია ma პრეფიქსიანი ფორმებით.

მაგ: mavḡalun „შიში“; makbirun „ხანდაზმულობა“ და ა. შ.,

თუმცა ვხვდებით mi პრეფიქსიან მასდარებსაც:

miskarun „თრობა“; milhabun „წვა“ და ა. შ.

განვიხილოთ t პრეფიქსიანი წარმოება, რომელიც სხვადასხვა ხმოვნით გვხვდება: tu „პროცესი“; tu „გამოძიება“; tu „სურვილი“; tu „იმედი“ და ა. შ.

სუსტ ძირებთან გვხვდება to პრეფიქსი:

to „სარგებლობა“; to „ჭკუის სწავლება, საყვედური“; to „შთამომავლობა“ და ა. შ. მდ. s-ის დაბოლოებით: to „შემოსავალი“; to „დასაწყისი“; to „დიდება“ და ა. შ.

აკად. კ. წერეთელი მიუთითებს სახელის მაწარმოებელ სხვა უფრო იშვიათ პრეფიქსებზეც, როგორცაა: ' (א) და h (ה), მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: ha „შესაწირის ადგილი“; ha „ტომარა“; ha „მოქალაქე“; ha „მკაცრი“; ha „დააკვირება, განხილვა“; ha „ხსნა-გადარჩენა“ და აღნიშნავს, რომ მათ არამეზობულ ფორმებად მიიჩნევენ [წერეთელი 2001:70].

ჩვენი აზრით, ha პრეფიქსიანი ნიშნები კაუზატიური მოქმედების გამომხატველი hif'il თემის მოქმედების სახელებია და ჩვეულებრივად არიან წარმოდგენილები ამ თემის მოქმედების სახელების მოდელით — haf'alā(h). ბევრად უფრო საინტერესოა ამ მოდელის ის ფორმები, რომლებსაც ha პრეფიქსის ნაცვლად 'a აქვთ. ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია: ha „უმეზობრობა“; ha „გახსენება, ხსოვნა“; ha „განგაში“; ha „ექსპლოატაცია“; ha „იმედის გაცრუება“; ha „გამოგონება“; ha „მომარაგება“, მოწოდება“; ha „გამოსათხოვარი სიტყვა“; ha „სიურპრიზი“; ha „მიწყნარება, გაყუჩება“; ha „დაკრძალვა, დამარხვა“; ha „კაპიტალდაბანდება“; ha „შთაგონება“ და ა. შ. ვფიქრობთ, რომ 'a პრეფიქსი არამეზობლიდან მომდინარეობს, სადაც კაუზატიური მოქმედების გამომხატველი 'af'el თემაში 'a ამ თემის და მისგან ნაწარმოები მოქმედებითი სახელების პრეფიქსია. შესაბამისად, haktalā(h) მოდელში ha ჩანაცვლებულია არამეზობლი 'a-თი. ამაზე მეტყველებს ამ სიტყვების ეტიმოლოგიებიც [კლეინი 1987].

'a პრეფიქსი კაუზატივის ალტერნატიული პრეფიქსია და არამეზობლი წარმომავლობის მოდელით ('af'ala) ნაწარმოები მოქმედების სახელები, ისევე როგორც ზმნური ფუძე 'if'il, იხმარება hif'il თემის და მისი დერივატივის ბარალელურად [გოცირიძე 2003: 85-86].

განვიხილოთ აბსტრაქტული სახელების სუფიქსალური წარმოება, სადაც ყველაზე გავრცელებული -on და მდებრობითი სქესის ფორმანტის მქონე -it, -ūt, -ōt სუფიქსიანი ფორმებია. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია on და ūt სუფიქსებიანი ფორმები. წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

ოხა „საფრთხე“; ოოაჟ „ხსოვნა“; ოოაჟი „დაზოგვა“; ოოაჟი „ნაკლი“; ოაჟ `„მწუხარება“; ოოაჟი „უპირატესობა“; ოაჟ „სურვილი“ და ა. შ.

ūt სუფიქსი ძირითადად დაერთვის სახელიდან წარმოქმნილ ფუძეებსა და თავისი მნიშვნელობით ქართული „ობა“ სუფიქსიანი ფორმების შესატყვისია:

მაგ: თ-ოაჟჟ „მოწყენილობა“; თ-ოაჟი „ობლობა“; თ-ოაჟაჟ „მოქალაქეობა“; თ-ოაჟ „სიამაჟე“; თ-ოაჟი „უმწიკლოება“; თ-ოაჟი „სისუსტე“; თ-ოაჟი „კორონიანობა“; თ-ოაჟი „სითამამე“; თ-ოაჟი „აუცილებლობა“ და ა. შ.

ზოგჯერ ūt სუფიქსი დაერთვის სხვა დერივაციული სუფიქსით გაფორმებულ სახელებს.

მაგ: თ-ოაჟჟჟ „პედანტიზმი“; თ-ოაჟი „ლმობიერება“;

თ-ო, თ-ო სუფიქსები ებრაულ ენაში ერთვის კონკრეტულ სახელებს და მათგან აწარმოებს აბსტრაქტულს.

მაგ: თ-ოაჟი „მეფობა“; თ-ოაჟი „ჭვრივობა“; თ-ოაჟი „ბოლო, დასასრული“; თ-ოაჟი „დასაწყისი“ და ა. შ.

ზედსართავის მოდელზე -ut სუფიქსის დართვით ადგილი აქვს ნომინალიზაციის პროცესს, როცა, მაგალითად, ზედსართავი გადადის არსებითში.

მაგ: gadōl-დიდი; gadlūt-სიდიდე [როზენი 1977:91].

არსებობს მოსაზრება, რომ ძველი ენიდან შემოსული ფორმები ბევრად უფრო მოქნილები არიან, ვიდრე სუფიქსიანები, რომლებიც ძირითადად თვისების გამომხატველბად (nomen qualitatis) რჩებიან, რის გამოც ხშირად არის გარკვეული ნიუანსური სემანტიკური განსხვავება ამ ტიპის უსუფიქსო და სუფიქსიანი ფორმებს შორის. მაგ: 'omek-'amkūt-სიღრმე; koši-kašūt-სიძნელე; [როზენი 1977:129].

გვხვდება აბსტრაქტული სახელები მდებრობითი სქესის ორმაგი დაბოლოებით ათ- (ātā):

ათ-ოაჟი „საშინელება“; ათ-ოაჟი „დახმარება“; ათ-ოაჟი „უსამართლობა“ [გუზენიუსი 1874:320].

როგორც მოდელის განხილვისას გამოიკვეთა, აბსტრაქტული სახელების წარმოებისას მდ. სქ.-ის ფორმებს მამრობითთან შედარებით უპირატესობა აქვს. ზოგჯერ აბსტრაქტული სახელები ზედსართავის მდ. სქ.-ის ფორმებითაც გამოიხატება.

მაგ: ათ-ოაჟი „სიკეთე“; ათ-ოაჟი „სიმართლე“; ათ-ოაჟი „ბოროტება“ და ა. შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაულთან შედარებით არაბულ ენაში აბსტრაქტული სახელების სუფიქსალური წარმოება შედარებით ღარიბია და ფიქსირდება -at სუფიქსიანი ფორმები. მაგ: šadāk-at-un „თანხმობა“, თუმცა ძირითადი მაწარმოებელი jātun „სუფიქსია“. მაგ: madaniyyatun „ცივილიზაცია“; 'nsāniyyatun „კაცობრიობა“; fa'āliyyatun „ეფექტურობა“ და ა. შ.

ვინაიდან მოცემულ სტატიაში აბსტრაქტულსა და მოქმედების სახელებს ერთმანეთისგან არ გავმიჯნავთ (რამდენადაც ეს უკანასკნელიც აბსტრაქტულობის გამომხატველია), მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ მოქმედების სახელების მოდულები ზმნის თემების მიხედვით:

pa'al თემიდან p'ilāh; pī'el თემიდან pī'ūl;

hi'īl თემიდან haf'alā(h); hitpa'el თემიდან hitpa'lūt;

მაგ: הוּחַ „წერა“; רוּחַ „ლაპარაკი“; הַמּוֹחַ „მოწვევა“; תּוֹמָדוּת „წინსვლა“;

გნახოთ, აბსტრაქტული სახელების წარმოების მხრივ რა მდგომარეობაა სხვა მონათესავე სემიტურ ენებში (არაბული განხილულია ზევით):

თანამედროვე ასურულ ენაში უაფიქსო მოდულებიდან აბსტრაქტული სახელებისთვის ფიქსირდება quṭṭā. მაგ: bussāmā „სიამოვნება“; šurrāiā „საწყისი“.

გვაქვს ისეთი ოთხთანხმოვნიანი სახელებიც, რომელთა მეორე მარცვალში გრძელი, ხოლო პირველში მოკლე ხმოვანია: ḥuzdāgā-„ზარალი“; zulhāzā-„არეულობა“ [წერეთელი 1968:115]

ti, ta პრეფიქსით ნაწარმოები სახელები ასურულში ცოტაა. ასეთია ვერბალური აბსტრაქტები: tišbūḥta „დიდება“ [წერეთელი 1968:121].

სუფიქსებიდან ვხვდებით -ānā (მდ. სქ. āntā): sunqānā „საჭიროება, აუცილებლობა“; უფრო ხშირად კი ūtā სუფიქსს, რომელიც აბსტრაქტულს ზედსართავი სახელებიდან აწარმოებს. მაგ: rāmūtā „სიმაღლე“; ḥāḥrāwāyūtā „ამხანაგობა“; სუფიქსი ūī და ū (ūtā-ს ნაცვლად გამოიყენებიან st. abs.-ში.) მაგ: ialsūī „უბედურება“; ‘amqū „სიღრმე“; -yā:šgūšyā „არეულობა“.

კლასიკურ სირიულში აბსტრაქტული სახელები pe'al ან pa'el და ნაწილობრივ 'f'el თემების მოქმედების სახელებია [ბროკელმანი 1962:60].

სახელის უაფიქსო წარმოებიდან გვხვდება quṭṭāl მოდელი. მაგ: guppāna „წვეთვა“; tullāqā „დაღუპვა“. ამ მოდელით იწარმოება ოთხთანხმოვნიანი ზმნების მოქმედების სახელებიც: rumrāmā „ამაღლება“; bulbālā „უწესრიგობა“ და ა. შ. [წერეთელი 1979:43-44].

აფიქსალური წარმოებისას იშვიათად შეიმჩნევა t პრეფიქსიანი (ta, te) აბსტრაქტულები, ხოლო სუფიქსებიდან მათი უმრავლესობა m-ით გვხვდება. მაგ: ta/te: ta'dirā „დახმარება“; tedmūrtā „გაკვირება“; tešbūḥtā „დიდება“ და სხვა. m- სუფიქსიანი სახელები ძირითადად ზედსართავიდან და არსებითიდან არიან ნაწარმოები: ṭābūṭa „სიკეთე“; ba'ūṭā „თხოვნა“; gabbārūṭa „გმირობა“ და ა. შ. [წერეთელი 1979:46-47].

ძველ არამეულ ენაში სახელის აფიქსალური წარმოება უფრო მრავალფეროვანია. სუფიქსებიდან ვხვდებით -ān,-in,-ōn,-it,-ūt,-āy. მათგან აბსტრაქტულებს ძირითადად აწარმოებს -ūt სუფიქსი, ხოლო იშვიათად -it. მაგ: malkūt „მეფობა, ბატონობა“ [წერეთელი 1982:50]. გ. ბერგშტრესერის მიხედვით, ეს ფორმანტი შეიძლება ნასესხები იყოს აქადურიდან და არამეულის გზით შესული სხვა სემიტურ ენებში [ბერგშტრესერი 1963:69].

ამრიგად, როგორც მიმოხილვამ გვიჩვენა, აბსტრაქტული სახელები სემიტურ ენებში სხვადასხვა მოდელითა და პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება, მაგრამ თითქმის ყველა ენაში (გარდა არაბულისა) დომინირებს და სიმრავლითაც გამოირჩევა -ut სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები.

თანამედროვე ებრაულ ენაში - m^{t} სუფიქსის სიტყვათწარმოებითი პოტენცია, რომელიც არამეული ენიდან იღებს საწყისს, მნიშვნელოვნად გაზრდილია. როგორც უკვე აღინიშნა, ის ნეოლოგიზმების დიდ რაოდენობას აწარმოებს. იგი ხასიათდება შეთავსებადობის დიდი უნარით და შეიძლება დაერთოს სახელს, ზედსართავს ან ზმნურ ძირებს ორი დერივაციული საშუალებით: ფლექსიურ-სუფიქსალურით და სუფიქსალურით.

ფლექსიურ - სუფიქსალური წარმოების მიხედვით ut სუფიქსი დაერთვის სუბსტანტიურ და ადიექტიურ ძირებს დაწარმოქმნის ორ ტიპს:

I.1) სიტყვათწარმოებით მოდელებს ზედსართავი სახელებიდან:

qatul, qatil, qatol, qatal, qetel > qetlūt

qatal,qtul, qitel > qitlūt

qatel > qatilūt; qatel > qtelūt

qatil, qatul > qtilūt, qtulūt

მაგ: bahir „ნათელი“ > bhirūt „სინათლე, გარკვეულობა“; kaved „მძიმე“ > kvedūt – „სიმძიმე“ და ა. შ.

2) სიტყვათწარმოებით მოდელებს: qatlūt - qatal, qatel ფუძის მქონე კონკრეტული სახელებიდან.

მაგ: ‘anan „ღრუბელი“; ‘ananūt „ღრუბლიანობა“; yeled „ბავშვი“ > yaldūt „ბავშვობა“.

II. სუფიქსალური წარმოებისას -ut სუფიქსი დაერთვის უშუალოდ სუბსტანტიურ ფუძეს და არ იწვევს დერივაციის მორფემულ სტრუქტურაში არანაირ მორფონოლოგიურ ცვლილებებს.

აქ გამოიყოფა სიტყვათწარმოების შემდეგი ტიპები:

1) ნასახელარი აბსტრაქტული სახელები, რომელიც სემანტიკურად რაიმე თვისების გამომხატველია და იწარმოება შემდეგი სიტყვათწარმოებითი მოდელებით: qatlanut < qatlan;qaltanut < qaltani; qitlonut, qetlonut < qitlon, qetlon, qotel და სხვ.

მაგ: pahdan „მშიშარა“ > pahdanūt „სიმხდალე“; ra‘avtan „გაუმაძღარი“ > ra‘avtanūt „გაუმაძღრობა“; tiv‘on „ნატურალისტი“ > tiv‘onūt „ბუნებრივობა“; hucpan „თავხედი“ > hucpanūt „თავხედობა“ და სხვ.

2) აბსტრაქტული სახელების სიტყვათწარმოებითი ტიპი, რომელიც სემანტიკურად პროფესიული საქმიანობის გამომხატველია და იწარმოება მიმდევრობის qatal, qotel და მოქმედების სახელების an და ay სუფიქსიანი ფუძეებიდან.

მაგ: balšan „ლინგვისტი“ > balšanūt „ლინგვისტიკა“; mahaz‘ay „დრამატურგი“ mahaz‘aūt „დრამატურგია“; rokeah „აფთიაქარი“ > rokhtūt „ფარმაცევტიკა“; (არაბულში ეს სიტყვათწარმოებითი ტიპი qitālat მოდელით გამოიხატება).

3) აბსტრაქტული სახელები, რომელიც იდეოლოგიური ორიენტაციის შინაარსის გამომხატველია და იწარმოება -ut სუფიქსის დართვით შესაბამისი სემანტიკის მქონე სახელებისგან ან მიმდევრობებისგან.

მაგ: šihletan „რაციონალისტი“ > šihletanūt „რაციონალიზმი“; rehšān „კაპიტალისტი“ > rehšānūt „კაპიტალიზმი“; mešumad „რენეგატი“ > mešumadūt „რენეგატობა“;

4) აბსტრაქტული სახელების სიტყვათწარმოებითი ტიპი, რომელიც კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებზე ut სუფიქსის დართვით გამოხატავს მდგომარეობის, სტატუსისა და საქმიანობის მნიშვნელობის მქონე სახელებს.

მაგ: 'iš „ადამიანი“, მეუღლე > 'išūt „მეუღლეობა“; sadeā „მინდორი“ > sada'ūt „მემინდვრეობა“; dal „ღარიბი“ > dalūt „სიღარიბე“;

5) ūt სუფიქსის შეთავსებადობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი ასევე დაერთვის ზმნიხედებს და რთულ სიტყვებს.

მაგ: lama „რისთვის“ > lamūt „ცნობისმოყვარეობა“; te'evdea' „ცოდნის-მოყვარე“ > te'evdea'ūt „ცოდნისმოყვარეობა“ [ცოცხადე 1987:41-42].

ūt სუფიქსით შეიძლება გამოიხატოს რელიგიური თემის (yahadut „ებრაელობა“), რელიგიური მიმდინარეობისა (nacrūt „ქრისტიანობა“) და ასევე ჯგუფურობის მნიშვნელობა (pkidūt „ადმინისტრაცია“; sohnūt „სააგენტო“) და ა. შ. [როზენი 1977:92].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი საილუსტრაციო ლექსიკიდან (მასალა ამოკრებილია ძირითადად პოდოლსკისა და შაპიროს ლექსიკონებიდან) ūt სუფიქსით ნაწარმოები სახელები მხოლოდ აბსტრაქტულ არსებით სახელებს წარმოადგენენ, განსხვავებით უაფიქსო მოდელებისგან, რომლებიც, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ხშირად, გარდა აბსტრაქტული სახელებისა, სხვა კატეგორიის სახელებსაც გამოხატავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ūt სუფიქსი მორფოლოგიურად მკაცრად განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი მარკერია.

ამრიგად, სტატიაში განხილული თეორიული დებულებებისა და დამოწმებული საილუსტრაციო მასალის მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ:

- 1) ებრაულ ენაში პირველადი აბსტრაქტული სახელები ცოტაა.
- 2) უაფიქსო წარმოებისას დადგენილია მათი გამომხატველი მყარი მოდელები, რომლებმაც შეიძლება გამოხატონ, როგორც აბსტრაქტული, ასევე სხვა ტიპის სახელები.
- 3) აფიქსალური წარმოებისას გვაქვს როგორც პრეფიქსალური (ძირითადად ה და ח სხვადასხვა გახმოვნებით), ასევე სუფიქსალური (on, ot, ūt, it) წარმოება.
- 4) საგანგებოდ უნდა გამოიყოს ūt სუფიქსი, რომლითაც იწარმოება აბსტრაქტული სახელების ყველაზე დიდი რაოდენობა, არა მხოლოდ ებრაულ ენაში, არამედ სხვა სემიტურ ენებშიც (არამეული, კლასიკური სირიული, თანამედროვე ასურული და სხვა). იგი მორფოლოგიურად მკაცრად განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი მარკერია და სიტყვათწარმოების მაღალი პოტენციითა და მოდელებში შეთავსებადობის დიდი უნარით გამოირჩევა.

ზემოთქმულის საფუძველზე, აბსტრაქტულ სახელებში ūt სუფიქსის დომინანტური როლი გამოკვეთილია, რაც გარკვეულწილად განაპირობებს ამ სუფიქსის პროდუქტიულობას ნეოლოგიზმების წარმოებისას.

დამოწმებანი

- აიხენვალდი 1990:** А. Ю. Айхенвальд, Современный иврит, М., «Наука», 1990.
- ბერგშტრესერი 1963:** G. Bergsträsser, Einführung in die semitischen Sprachen, Darmstadt, 1963
- ბროკელმანი 1962:** C. Brockelmann, Syrische Grammatik, Leipzig, Veb Verlag Enzyklopädie, 1962.
- გეზენიუსი 1874:** В. Гезениус, Еврейская грамматика, (пер. К. Коссовича), СПб, Типография Императорской Академии Наук, 1874.
- გოცირიძე 2003:** მ. გოცირიძე, „Morphological and Lexical Causatives in Modern Hebrew“, საი-უბილეო კრებული მიძღვნილი კონსტანტინე წერეთლის 80 წლისთავისადმი, თბილისი, „ნეკერი“, 2003.
- გრანდე 1963:** Б. М. Гранде, Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, М., Издательство восточной литературы, 1963.
- ზელიგერი 1992:** Л. Зелигер, Иврит, часть I (фонетика, морфология), М., 1992.
- კლეინი 1987:** E. Klein, A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew Language, Jerusalem – Tel Aviv, carta, 1987.
- კორნიენკო 1979:** Ю. М. Корниенко, Лексикология и фразеология языка иврит, Курс лекций, М., Военный институт, 1979.
- კორნიენკო 1982:** Ю. М. Корниенко, Морфонология словообразования и словоизменения современного еврейского языка, Дисс. Канд. Филол. Наук, Тб., 1982.
- კრიუკოვი 2004:** А. А. Крюков, Социолингвистический феномен нового иврита (Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук), М., 2004.
- კრიუკოვი 2004:** А. А. Крюков, «О некоторых способах пополнения лексико – фразеологического корпуса разговорного иврита», Язык иврит: исследование и преподавание, М., «Сэфер», 2004.
- მეფარიშვილი 2001:** მ. მეფარიშვილი, სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკა, თბილისი, „უნივერსალი“, 2008.
- ბოდოლსკი 1985:** Б.Б. Подольский, Практическая грамматика языка иврит, Тель-Авив, Ассоциация «Тарбут», 1985.
- ბოდოლსკი 2007:** מילון שדין, עברי - רוסי, מאת ברור פודולסקי 50000 מילים - ת, אביב, 2007
- როზენი 1977:** В. Rosen, Contemporary Hebrew, Paris, Mouton, 1977.
- სოლომონიკი 1983:** А. Соломоник, Практическая грамматика иврита, М., Кишинев, «Наш голос», 1983.
- შაპირო 1963:** Ф. Л. Шапиро, Иврит-русский словарь, М., Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1963.
- ცოცხაძე 1987:** Л. В. Цоцхадзе, Аффиксальная деривация имен в современных семитских языках, Тбилиси, «Мецниереба», 1987.
- წერეთელი 1968:** კ. წერეთელი, თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბ., „განათლება“ 1968.
- წერეთელი 1979:** К. Г. Церетели, Сирийский язык, М., «Наука», 1979.
- წერეთელი 1982:** კ. წერეთელი, არამეული ენა, თბ., „მეცნიერება“, 1982.
- წერეთელი 2001:** კ. წერეთელი, ბიბლიის ებრაული, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

Peculiarities of Formation of Abstract Nouns in Hebrew

Lali Guledani

One of the sources of enriching of Hebrew vocabulary is creating of the new words by already established stems and models of word deriving models in the grammar (including the cases of borrowing from the other languages), though, there are some cases of filling of the vocabulary artificially as well.

Permanent process of renovation of the vocabulary develops in three directions: a) new lexical units are created; b) words useless for the language are moved into the passive vocabulary; c) number of meanings of the words change; as a result, neologisms and archaisms are created in the language [Kornienko 1979:11].

In Hebrew, great number of neologisms (in particular, nouns) is result of the above morphological word-formation. Abstract nouns are distinguished with their great number and abstract nouns with ת־י – suffixes are even more prominent. Among them, number lexemes formed from internationalisms is especially great.

To determine, why *ut* – suffix is so productive in formation of neologisms in Hebrew, whether its attachment to a word is of artificial nature or it is logical result of the processes ongoing in the language, we found reasonable to study characteristic features of all models and formation of the abstract nouns. To make logical conclusion, we regard that it is necessary to study not only Hebrew grammar models, but clarification of their relations in the other Semite languages with the represented material, what would allow to exactly determining morphological and semantic functions of abstract models and affixes in modern Hebrew, taking into consideration general Semite data.

We regard that these issues would be of interest and significance for those, interested in problems of lexicology and word-formation processes (as in our case) and in addition, with respect of systematization of Hebrew grammar categories, as the issue of such significance is presented only fragmentally in the theoretical literature.

In the Hebrew grammars available for us, abstract nouns are not divided and studied complexly. Some grammar professionals (Zeliger, Solomonik) do not even mention the abstract nouns and some of them provide only poor information on this issue (B. Podolski, A. Aichenwald, B. Rosen, etc.).

A. Kryukov and B. Podolski, who consider major means of filling of modern Hebrew colloquial vocabulary, note that in case of morphological derivation, in particular, affixation, the most frequently used word-formation suffixes and ת־י – suffix among them [Kryukov, 2004-37]; [Podolski, 1985-130]. Kryukov regards that frequently even borrowed substantives accept this suffix [Kryukov, 2004-21].

Grammars of Grande and Gesenius (often referred to during the research) provide valuable information for our research, where there are presented and discussed some models of abstract nouns, together with the models of the nouns of other categories; and I. Kornienko

emphasizes in modern Hebrew 12 most widespread word-formation morphemes (both, prefix and suffix). [I. Kornienko, 1982-75].

In our study we applied descriptive and comparative methods in the synchronous planes.

As it is well known, Semite radical, morphologically indivisible part, is the morpheme, carrying the key meaning and word-formation affixes – the morphemes, which add to the radical meaning special semantic gradation. It should be also taken into consideration that in Semite radical determination of meaning is related, basically, to the consonant phonemes and the vowels are used to grammar dependence through flexible function or, to fix various gradations, regarding the basic meaning [Meparishvili, 2008-146].

In Semite languages, the morphological means for formation of the word are affixes, doubling of certain consonants of the radical or internal flexion.

Set of these formal means create the formula in each word, according to which the similar word with different radical is construed.

Such structural “models” could be divided as:

a) grammar and b) lexicographic

In Hebrew the nouns are of two types:

1) Primary (*nomina primitiva*), which are not derived either from the verb or from noun.

2) Derived (*derivata*), which, on their part, are divided into:

a) Derived from the verb (*nomina verbalia*).

b) Derived from the noun (*nomina denominativa*).

In Hebrew, the primary nouns are much less, than those, derived from the verbs or nouns. Initially we shall discuss the models of abstract nouns without affixes, so called Segolates (qāṭl> qaṭel; qīṭl> qeṭel; quṭl> qoṭel), great majority of which are the abstract nouns [Tsereteli, 2001:66].

Arabic versions of these models (basically action and abstract nouns) are opposed to those of Hebrew [Grande, 1963:79].

To derive abstract nouns from the models without affixes, there are frequent and ლק (qāṭāl) its feminine form.

We should note that by the abovementioned models, in addition to the abstract nouns, there are expressed also specific action, condition nouns and adjectives etc., but among all existing models of abstract nouns without affixes they are relatively frequent. It is also possible that by different models of one and the same radical there are received semantically different words [Aichenwald, 1990:52-54].

In the article there are provided such samples, by which, on the contrary, the nouns of other types are presented more frequently and less – abstract.

qāṭal, qūṭl, qīṭl, qūṭl, qāṭāl – basically, are expressed common nouns and by their feminine forms – the abstract ones.

There are also cases, when for expression of abstract and specific conceptions there are used is and the same word.

In the article there are provided the following models of abstract nouns, expressing the action in Arabic language: qāṭal ;qīṭal;qāṭil;qāṭāl;qīṭāl;quṭāl;qāṭīl;

qatūl: (obtained through re-duplication), with the ending of feminine form, qalqal: with feminine gender ending [Grande, 1963:84].

Given models are evidenced with the illustration materials, both in Hebrew and Arabic languages.

Comparison of the abstract nouns' models without affixes in Hebrew and Arabic languages allows concluding that with respect of derivation, Arabic language is more diverse, though, most models are one and the same in both languages, what could be explained by their Semite origin.

As for affix derivation of the abstract names, there are both, prefix and suffix derived nouns.

Verb-derived nouns, in Hebrew language, are derived directly from the verb stems and basically they are participles and infinitives.

Major deriving of the participle is m, accompanied with the vocal element of given conjugation: ma, me, mo, mi.

ma and mi prefixes are used for deriving of non-verb nouns, radicals of which are of different phonation.

In Arabic language abstract nouns are most frequently represented by the forms with ma prefix and more rarely – mi prefix, in abstract nouns, expressing condition.

There is also considered deriving with t prefix in Hebrew language, which is with different vowels and concurrently with them we represent nouns of actions with ta and ti prefixes in modern Arabic language.

Academician K. Tsereteli specifies also other, more rare prefixes, deriving the nouns, like ' (א) and h (ה), ha and regards them as Aramaised forms [Tsereteli, 2001:70]. In our opinion, the samples with ha prefix are nouns of hi'f'il conjugation expressing causative actions and normally are presented with the model of nouns of action of this conjugation ha'f'alā(h). Forms of this model, which have 'a prefix, instead of ha, are of much greater interest. We consider that 'a prefix is originated from Aramaic, where, in the 'af'el conjugation, expressing causative action, 'a is the prefix of this conjugation and nouns derived from it. Consequently, in haktalā(h), ha is replaced with Aramaic 'a.

In deriving of abstract nouns with suffix the most widespread is forms with –on and feminine gender forms with –ūt, ūt, ōt suffixes:

ן-י, ן-י – suffixes in Hebrew language are affixed to specific nouns and derive from them the abstract ones.

By affixing of -ut suffix to certain models process of nominalization takes place, when, sat, adjective transforms into the noun.

There are some cases when ūt suffix is affixed to the nouns formed by the other deriving suffix.

There was opinion that the forms from the old language are much more flexible, than those with the suffixes, which remain basically expressers of the quality (nomen qualitatis), causing, in many cases, certain gradation semantic differences between the forms of this type with and without suffix [Rosen, 1977:129].

There are some abstract nouns with double ending of feminine gender אֵתָּ (āṭā):

As it was revealed in consideration of the models, in deriving of the abstract nouns, forms of feminine gender have some preferences, compared with the masculine. In some cases, abstract nouns are expressed by feminine forms of the adjectives as well.

It should be also noted that compared with Hebrew, in Arabic language, suffix derivation of abstract nouns is much poorer and is fixed in forms with – at suffix, but basically with - iiatun suffix.

As in this article we do not distinguish abstract nouns and action nouns (as the latter expresses abstractness as well), we found reasonable to present in this article the models of action nouns by the verb conjugations as well.

With respect of derivation of the abstract nouns, in the other Semite languages, there is the following picture (Arabic is discussed above):

In modern Assyrian language, from the models without affixes, for the abstract nouns, there is fixed *quṭṭāl* model. There are also such two-consonant nouns, in the second syllable of which the vowel is long, whereas in the first one the vowel is short. Number of nouns derived with *ti*, *ta* prefixes in Assyrian language is little. Such are the verbal abstracts [Tsereteli, 1968:121].

Among the suffixes, there are — *ānā* (feminine gender *āntā*).

And more frequently — *ūtā* suffix, which derives the abstract noun from the adjective. There are *ūī* and *ū* suffixes as well.

In classical Syriac language, the abstract nouns are *pe'al* or *pa'el* and partly *'f'el* conjugation action nouns [Brocelmann. 1963:60].

Among the nouns without affixes there is *quṭṭāl* model, including action nouns derived from the four-consonantal verbs.

In affix derivation, there are rare the abstract nouns with *t* prefix (*ta*, *te*) and as for the suffix, most of them are with *ūt* suffix. Nouns with *-ūt* suffix are mostly derived from adjectives and nouns [Tsereteli, 1979:46-47].

Thus, overview showed that in the Semite languages abstract nouns are derived by different models and prefix-suffixes, though, almost in all languages (with the exception of Arabic), dominate abstract nouns with *-ut* suffix, which are distinguished with their great number as well.

In modern Hebrew language, word-formation potential of *-ut* suffix, which is originated from Aramaic language (this format could be borrowed from Akkadian and entered into the Semite languages through Aramaic.), is significantly increased. As it was noted earlier, it derives great number of neologisms. It is characterized with great compatibility and may be affixed to the noun, adjective or verb stems in two derivation ways: flexible-suffix and suffix.

By flexible-suffix derivation, *-ut* suffix is affixed to substantive and adjective radicals, providing two types:

- 1) Word-formation models from the adjectives
- 2) Word-formation models from the specific nouns with *qatlūt* - *qatal*, *qatel* radicals.

II. *-ut* suffix is affixed directly to the nominal stem and does not cause any morphonological changes in the morpheme structure. [Tsotskhadze, 1987L41-42].

In the article there are separately discussed the abstract nouns with *-ut* suffix, which form the semantically different groups and express qualities of the subjects, professional activities, ideological orientation etc.

High compatibility of *-ut* suffix is evidenced by the fact that it is affixed to adverbs and complex words.

Each theoretical statement mentioned above is evidenced by vast illustration materials in Hebrew, as well as in Aramaic, modern Assyrian and classical Syriac languages (See original article, Georgian version). It should be specifically noted that among numerous lexical materials, basically taken from the dictionaries by Podolski and Shapiro, nouns derived with *-ut* suffix represent only abstract nouns, unlike the models without affixes, which, as the investigation showed, frequently express the nouns of other categories. And this means that *-ut* suffix is the marker carrying strictly determined morphological function.

Thus, based on the theoretical statement and illustration materials we can make conclusion that:

- 1) there are few primary abstract nouns in Hebrew language,
- 2) In case of derivation without affix, there are identified stable models expressing them, which can express both, abstract nouns and nouns of other categories,
- 3) In case of affix derivation, there are prefix (basically ה and ת, with different phonation) and suffix (on, ot, ūt, it) derivation,
- 4) ūt suffix should be divided specially, as it derives the greatest number of the abstract nouns, not only in Hebrew, but also in the other Semite languages (Aramaic, classical Syriac, modern Assyrian, etc).

It is marker of morphologically strictly defined function and it is distinguished with high potential of word-forming and high degree of compatibility in the models.

Based on the abovementioned, the dominant role of -ut suffix in derivation of the abstract nouns is doubtless which provides at some extent productivity of this suffix in formation of the neologisms.

Note: Among the literature used and referred to in the course of work on the article (22 units in total), we basically rely on grammars by K. Tsereteli: Aramaic (1968), Syriac (1979), modern Assyrian (1968), as well as Course of Grammar of Arabic Language by Grande (1963) and Grammar of Hebrew Language by Gesenius (1974).